სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ზუგდიდი

1992
სამშაბათი
25
აგვისტო
№ 26 (10557)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო ცხოვრების პარადოქსები

ესეც ვახტია, მტკიცედ იდექ!

ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე. ეს არ გახლავთ ოფიციალური თანამდებობა, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ნებაყოფლობითი მიკრო რგოლია. მართალია, ამ სტატუსის ხსენებისას ყოფილი კომუნისტური რეჟიმის ასოციაცია უჩნდებათ ადამიანებს, მაგრამ სიცოცხლისუნარიანობა ახლაც შეუძლია შეინარჩუნოს, თუ მასში ნაგულისხმევ ნამდვილ შინაარსს სწორად გავითავისებთ და სამოქმედოდაც განვეწყობით.

რა შეუძლია მას ჩვენს ურთულეს დროში, რით შეუძლია ხელი შეაშველოს ასე გაჯახირებულ ყოფას? ბევრი რამით. ოღონდ სურვილი და მონდომება იყოს და ამა თუ იმ თავჩენილი პრობლემის ორგანიზაციულად თავმობმის უნარი. თუ მტკიცედ იდგები ვახტაზე, შენი აუცილებლად მოერიდება უსაქმოდ მოხეტიალეს, რაიმე საეჭვო საქმიანობით გატაცებულს, კრიმინოგენური მიდრეკილებას პირს. სხვას ვის, თუ არა ქუჩის კომიტეტს ხელეწიფება ერთმანეთთან მოკინკლავე მეზობლების შერიგება, ათასნაირი დაძაბული, კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

გულთან საქმის მიტანა თქვი, თორემ ქუჩის კეთილმოწყობის, გამწვანების საქმეში ელემენტარული ღონისძიებების გატარებას მათ ვინ უნდა აცლიდეს. ანდა ავიღოთ თუნდაც შაქრის განაწილების, პურის ობიექტში გაყიდვის ორგანიზება. ამ მხრივ რიგ უბნებზე შედარებით არეგულირებენ მდგომარეობას. მეტწილ შემთხვევებში კი პასიურ დამოკიდებულებას, შეუწყნარებელ ინდიფერენტიზმს იჩენენ.

ამჟამად ჩვენს ქალაქს, საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ხეხილს ამერიკული თეთრი პეპელა შემუსვრით ემუქრება. ამ მხრივაც თქვენ უნდა არისხებდეთ განგაშის ზარებს, ქუჩის კომიტეტებო. და საერთოდ ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების ლოკალურ კამპანიებსაც თქვენ უნდა გაუძღვეთ. პირველ რიგში თქვენ უნდა აღკვეთოთ ზოგიერთი ვაიზუგდიდელის თვითნებობა, ვინც საოჯახო ნაგავნარჩენებს პირდაპირ ქუჩაში ყრის. მიხედეთ ამ საკითხებს, მეგობრებო. უშველეთ სანამ არ არის გვიან, სანამ ჩვენივე ჯანმრთელობას დამატებით საფრთხეს, განსაცდელს განვუმზადებთ.

ზუგდიდში არსებული საკოორდინაციო საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიების მიმართვა საზოგადოებისადმი

თანამემამულენო! ზუგდიდი ყოველთვის იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეის ერთ-ერთი პირველი მედროშე. ის პირველი შეხვდა 1989 წელს აფხაზეთიდან ნასროლ მტრის ტყვიას.

ახლა არ არის დრო პარტიული თუ პიროვნული ამბიციების გამოვლენისა, ქართველებს შორის მტყუან-მართლის გარჩევისა. ვისაც არ უნდა გაეტეხა, გაეხლიჩა ზუგდიდი და გადაემტერებინა მოსახლეობა, მას სხვა ისტორიული მისია არ აკისრია, გარდა ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლისა.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობა და მისი ლიდერები რუსეთის რეაქციული პოლიტიკის ექსპორტიორებია საქართველოში.

ზუგდიდს შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. წინ აღვუდგეთ აფხაზი სეპარატისტების თვითნებობას.

საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა არავის ეპატიება.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი. ამინ!

სულს მშვიდობა სწყურია

ვინც დღევანდელი მსოფლიოს ცხელი წერტილების შესახებ შემაშფოთებელ ამბებს ისმენს ტელევიზიის ეკრანიდან, შეუძლებელია სასოწარკვეთის უამური განცდა არ დაეუფლოს. ეს რა ხდება? ნუთუ გვიახლოვდება აპოკალიფსისი, შვიდბეჭდიანი საიდუმლოს გამხელის დრო. როდის უნდა ამოისუნთქოს ადამიანმა თავისუფლად, ლაღად. როდემდე უნდა იყოს ეს ცოდვილი პლანეტა ანტიქრისტეების საუფლო.

არ წყდება სისხლის ღვრა ყარაბაღში, ავღანეთში, ევროპის შუაგულში—იუგოსლავიაში, დნესტრისპირეთში. და აგერ, ჩვენი ახალი ტკივილი და უბედურება: აფხაზეთში შფოთიანობის, მძულვარების ისეთი ტალღა აგორდა, რომლის დაცხრომას ალბათ დრო დასჭირდება...

თუ ვინმემ იცის, ქართველმა კაცმა იცის მშვიდობის ფასი. არცერთ ენაში არ ისმის სიტყვა-მშვიდობა ისე ხშირად, როგორც ქართულ ენაში.

ოცდამეერთე საუკუნე კარს მოგვდგომია. იარაღით შეხვდება მას ადამიანი, თუ უიარაღოდ? გონება გაიმარჯვებს თუ უგუნურება? ალბათ ამ მტანჯველ კითხვას ისევ ადამიანი, ჭეშმარიტ ღირებულებებზე ორიენტირებული „ძეშეცდომილი“ გასცემს დადებით პასუხს. ისევ ითესება სამომავლოდ იმედისა და რწმენის მარცვლები, რომლებიც მშვიდობის ბაღად ამოღაღანდება.

ა. გოგუა.

სოფლის სადღეისო საზრუნავი

გასაჭირს გამთავისებელი სჭირდება

კოლხიდა—ეს სახელი სიმბოლურია და მის მატარებელ სოფელს, ბევრი რამ ევალება ქვეყნის გასაჭირის ჟამს. აბა, ვის რად არგია გაჩანაგებული პლანტაციები, რომლის გასაშენებლად თავის დროზე დიდი შრომა დახარჯულა. დიახ, ჩაი სიმდიდრეა დღეს და რა დასანანია, რომ მასში, სხვადასხვა მიზეზების გამო არ გატარდა აგროტექნიკური ღონისძიებები, რამაც გამოიწვია მოუსავლიანობა. და მაინც ჯუმბერ დარასელიასა და კუკური დარასელიას ბრიგადებში სისტემატურად მზადდება ნედლეული. პირველში 28 ჰექტარიდან მოკრიფეს 80 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორეში 24 ჰექტარიდან მიიღეს 40 ტონა. სოფელში მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იკრიფება ჩაი და გადამამუშავებელ ფაბრიკებს ჩაბარდა 200 ტონაზე მეტი ნედლეული, თითქოს ბუნებაც აუხირდაო ამ კუთხეს. მოსულმა ნიაღვარმა წაიღო სოფლის ხიდი, ელექტრობოძები სადარასელიოში, საჯაბოში, ოში, საქადარიოში, მდინარეების ჯუმისა და ყულისწყარის შენაერთთან დაიტბორა და განადგურდა 10 ჰექტარზე ნათესი სიმინდი...

მაგრამ აღსდგა სოფელი და მოსახლეობის ინიციატივით მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა, აღნიშნულ სამუშაოზე კოლმეურნეობა გაიღებს 100000 მანეთს.

იმისათვის, რომ გლეხკაცმა სოფელში შეასრულოს თავისი მისია, საჭიროა მის საარსებო მინიმუმზე ზრუნვაც. არადა, არააქვთ აქ არავითარი პირობები. მოსახლეობამ ნახევარი წლის განმავლობაში ერთხელ მიიღო კილონახევარი შაქარი და ადვილი მისახვედრია რა პირობებშია ბავშვები, მოზარდები. კიდევ მეტი—სოფელში თხუთმეტი დღეა არ შემოუტანიათ პური.

სოფლის გასაჭირს გამთავისებელი სჭირდება. პირველ რიგში აქაურმა თავკაცებმა უნდა გამოიღონ ხელი. და რა თქმა უნდა, შესაბამისმა რაიონულმა სამსახურებმაც არ უნდა დაახანონ დახმარება.

ბ. ასათიანი.

ილია ღაღაფხაზეთი

საქართველოს სულიერ მოძღვარს დიდ ილია ჭავჭავაძეს ერთნაირად ეთაყვანებოდა იმერ-ამერი. მიუხედავად მოუცლელობისა, ეს სასიქადულო მამულიშვილი ყოველ შესაძლებელ შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ პირადად არ მიეღო მონაწილეობა ამა თუ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

1903 წლის გაზაფხულზე ილიამ იმოგზაურა აფხაზეთში. მოგზაურობა შედგა თბილისის გუბერნიის დეპუტაციის გადაწყვეტილებით, რათა პატივი მიეგოთ პრინც პეტრე ოლდენბურგისათვის გაგრაში კურორტის დაარსების, რეალური სასწავლებლის გახსნის და საერთოდ ამ კუთხეზე ზრუნვის გამოჩენისათვის. დეპუტაციის თავისი მოვალეობა შეასრულა, გაეცნო გაგრას და უკან დაბრუნებული ესტუმრა სოხუმს. ილიას სტუმრობა სოხუმში ნამდვილ საზეიმო დღესასწაულად იქცა. ი, როგორ აღწერს ამ ამბავს შეხვედრის მონაწილე თედო სახოკია: „ილიას, რომელმაც გაისეირნა სოხუმის ბულვარში, ზღვის სანაპიროზე უამრავი ხალხი დაყვებოდა. გადაწყდა, ბანკეტი გამართულ იყო გრიგოლ შერვაშიძის სასახლის ეზოში. მთელი აფხაზეთის მოწინავე საზოგადოებრიობამ მოიყარა თავი სუფრაზე. ბანკეტს დაესწრო აგრეთვე თბილისის დრამატული დასი, რომელიც სავასტროლოდ იყო ჩამოსული სოხუმში. ილიას გვერდით მოუსვეს გრიგოლის მეუღლე აღათი დადიანის ასული, თამადად არჩეულ იქნა სოხუმის მკვიდრი თეიმურაზ გაბუნია, რომელიც ცნობილი იყო დარბაისლობით და ენამახვილობით. თამადამ პირველი სასმისით ილია ადღეგრძელა. სუფრის ხელმძღვანელის შემდეგ მე მერგო ბედნიერება,—წერს თედო სახოკია, მედღეგრძელებინა ქართველი ერის უპირველესი ბრძენკაცი. სიყვარულით და უღრმესი თაყვანისცემით გამთბარ სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა.

სამადლობელო სიტყვა ილიამ ზეპირად წარმოსთქვა. ეს არ არის უბრალო სტუმარ-მასპინძლური ქათინაური. ილიამ გააანალიზა იმ ამინდელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ამოატივტივა ქართველი ერის ბევრი საჭირბოროტო საკითხები, მოუწოდა ერთიანი საქართველოს გადასარჩენად.

„ბატონებო, დიდი პატივისცემით,—მოგესალმებით, — ბრძანა ილიამ. ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით ღაბატულ კუთხეს. მის მოსახლე მშვენიერ ხალხს. თქვენ რომ გიყურებთ. გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად ვერ დავეჩაგვრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება, სინათლე აღმოსავლეთიდან გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის საქართველოსათვის მაინც მეთქი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა. უნდა, ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივი, მამაპაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შეინარჩუნონ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ. მოსეულს ათასგვარს მტერსა ოდუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ხმალამოღებული დავუხდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ“.

ერის დიდი მოჭირნახულის ეს შეგონება არც ჩვენ, დღევანდელი ამერ-იმერის ჭირისუფალს გვაწყენდა, ღმერთმანი.

ბ. მაჭაცარია.

წარსულის სახელოვანი ფურცლები

ივანზე, თუთარჩელა ღამეს

(ჩანახატი)

ბავშვობაში, ერთხელ, ვცადე ჩემი სოფლის მარიამობისთვე დამეხატა. არ გამომივიდა.

ბავშვობაში ერთხელ, ვცადე ის ძველი ოდა დამეხატა. ფიცრებჩაშავებული, ზოგანაც ჩამპალი. კვლავ არ გამიღიმა ბედმა.

ბავშვობაში, ერთხელ, ვცადე ჩემი მოხუცები დამეხატა. ჩემი მოსარჩლე მოხუცები. მუდამ კარგები, კეთილები, ლამაზები, თბილები. ამ საქმეშიც მომეცარა ხელი.

ეჰ, რატომ მხატვარი არა ვარ. მე კიდევ ერთხელ დავხატავდი ამ თვის ფერებს, იმ ძველზე ძველ ოდასაც. გუგუ ბებოსაც დავხატავდი, ახლა ჩემს გვერდით რომ ზის და მთვარეს რომ ეუდრება: „ახალ თუთა, ღორონთ მა სი გამახარ". „ახალ თუთა, ღორონთ მა სი გამახარ". ჩვენი ბედ-უკუღმართი ცხოვრების წყალობით არც ვიდეოკამერა გამაჩნია, არც უმარტივესი ტიპის დიქტოფონი, რომ ყოველივე ეს ცოცხალი შემოვინახო სამუდამოდ.

თუთარჩელა ღამეა. ივანზე პირისპირ ვართ.

წლებს გადაუვლია ამ კოლხი ქალის თავზე,—ვფიქრობ ჩემთვის, ვფიქრობ და მისი დარაიით წაკრული ლამაზი თავ-შუბლიც ამას მეუბნება, მისი ხელები, მისი ჩავარდნილი, ნაოჭებშეყურილი თვალები. მე ხომ ათასჯერ შემიხედავს ამ თვალებისთვის. ათასი რამე ამომიკითხავს მათი მზერიდან. ოღონდ მე ვარ ზოგჯერ ბრმა, ყრუ. მე მავიწყდება ეს ამოკითხული. ვბრაზდები კიდეც ბებო როცა მეტუვის წიგნი გისწავლია და სოლომონ ბრძენად მოგაქვსო თავი.

ო, როგორ უხარია გუგუ ბებოს ჩემი სტუმრობა. მაშინათვე დამსვამს, მომაყოლებს ამბებს ციხას, მიწისას, მერე თვითონაც გულს იჯერებს წუთისოფლის დაუდგროძლობაზე საუბრით ვუსმენ მას და მიკვირს, საიდან ამ ხანმოთეულ ქალში ამდენი ძალა, რწმენა, ამდენი სიკეთისა და მოთმინების უნარი.

ილია მაგონდება. ის პატარა ნაწყვეტი: —ერთხელ მეფე გიორგი მე-13 ყაზახ-ბორჩალოს რომ ესტუმრა. მეფის კითხვა: ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელს საქართველოში, ახლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო! და მოხუცი აღალარის პასუხი: იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო. ვაგლახ, რომ ის ქართველები არ დაბრუნებულან. ამას გუგუ ბებოსთან ვერ ვახსენებ. საერთოდ წუწუნს როგორ გავბედავ, გამინაწყენდება: რაო, დღეს რაინდები დაილევნენო? კაცუნები მომრავლდნენო?—შეგეკამათება. უყურებს სტანისლავის მძლავრობას, თავადაც ზღვა მწუხარება გამოვლილი და მაინც ოპტიმისტია. ვინ მისცა იუდას დღეგრძელი, დღენაკლულიაო ის. შენ ნუ ხარ ხელჩაქნეულიო,— დაგამშვიდებს, დაგარწმუნებს.

საოცარია გუგუ ბებო. ახლა რომ ვკითხო: რა არის ბედნიერება-მეთქი, იცით, რას მიპასუხებს? აქ რომ ვზივართ და ვსაუბრობთ ესაო ბედნიერება. კიდევ, წინ ღარიბული, მაგრამ თბილი ტაბლა რომ გვაქვს გაშლილი, ესეც ბედნიერებაო. კიდევ, რაღაც ღირსების, სიყვარულის, გულმოწყალების ნიშნები რომ შემოგვრჩაო. რა ვიცი, შეიძლება სწორია, ბებო. შეიძლება ბედნიერება მართლაც ესაა, აქ რომ ვზივართ და ვსაუბრობთ ორნი. ასე განსხვავებულნი, ასე ერთნაირნი. შეიძლება ბედნიერება სულაც რწმენაა, რომ ასეთი დრო დიდხანს არ გასტანს. შეიძლება, რა ვიცი. გუგუ ბებოს ხომ წლებმა ასწავლეს.

ოდის რიკულებს ვკიდებ თვალს. ყურძნის მტევნები... უი, რამდენია? წელს ოჯალეშს საკმაოდ დავაყენებთ, —ამბობს ბებო,— პაპის გარდაცვალების მერე პირველად მოისხა ამან. ხედავ აივანსაც როგორ მოედო.

სიჩუმეა. მხოლოდ ენგურის ხმაური აღწევს ჩვენამდე. ამ დღეებში ადიდდაო, აბორგდაო,— თქვეს. ნეტა, რა ხდება ახლა მის ნაპირებზე, ან იქით, გაღმა სამურზაყანოში. შევრიგდებით ძუძუმტენი? იქნებ მთვარის მოტაცება უნდა ენგურს. იქნებ, თარაშ ემხვარიც გამოჩნდეს. იქნებ, შერვაშიძის ასულის უკანასკნელი ლოცვაც გავიგონო.

—ის ქალი მიდის,—მაწყვეტინებს ბებოს ხმა ფიქრებს.

—ის ქალი, —ემეორებს ქუჩა.

—ის ქალი, —ვიმეორებ გუნება წართმეული.

და კვლავ ფიქრები, ფიქრები... ყოველ ცისმარე ვხვდებით მას. ძაძებში, სასაფლაოსაკენ მიმავალს. ჩვენი შუკის უკან ცხოვრობს, ბოგირთან. სახლიდან ალიონზე გადის და სულ ასე ვვიან ბრუნდება. შვილი მოუკლეს ომში, ცხრამეტი წლის ბიჭი და მას შემდეგ ერთ დღეში დაბერდა დედა. ვის დასჭირდა მისი სული. მას ხომ არასოდეს უფიქრია ჩინებზე, სკამზე. ოჰ, ეს ავი სულები. ჯერ რა დიდხანს გვასწავლეს დუმილი. მერე ყველაზე მეტი —სიცოცხლე მოგვთხოვეს. ჩვენვე გვახოცვინეს ერთმანეთი.

ღმერთო, ისმინე ამ დაბნეული, განწირული თაობის ძახილი. ღმერთო, გვაპოვნინე გზა შინისაკენ. ღმერთო დიდხანს აცოცხლე გუგუ ბებო. დამანათლე მისი მადლი. გამომაყოლე მისი მოთმინება ღმერთო. ღმერთო, შემაძლებინე შეუძლებელი, ღმერთო...

„ახალ თუთა, ღორონთ მა სი გამახარ".

„ახალ თუთა, ღორონთ მა სი გამახარ".

მარინე ჯონჯუა.

ვარისხებთ განგაშის ზარებს

ბუნებას განადგურება მოელის!

ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მასიურად გავრცელდა საშიში საკარანტინო მავნებელი — ამერიკული თეთრი პეპელა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა აღნიშნულ ტერიტორიაზე ხეხილოვან და ტყის კულტურებს.

ამერიკული თეთრი პეპელას 1-3 დღიანი მატლები აბლაბუდაში ახვევენ ფოთლებს, რაც ადვილი შესამჩნევია. ამ აბლაბუდებისაგან გაკეთებულ ბუდეებში მატლები კოლონიებად ცხოვრობენ, ხოლო შემდეგ საკვების ძიებისას მოედებიან ხოლმე მთელ მცენარეს.

მატლებს შეუძლიათ მთლიანად გააშიშვლონ ფოთლებისაგან მცენარე!

მავნებლის პირველი თაობა გვხვდება მაის-ივნისში, მეორე თაობა ივლის-აგვისტოში. მავნებლები ძირითადად გავრცელებულია კერძო სექტორში. აუცილებელია ბრძოლის მექანიკური ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ მცენარეს უნდა შევაჭრათ ის ნაწილი, რომელიც აბლაბუდაშია გახვეული და დავწვათ. საშიშია ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების ჩატარება, ვინაიდან საკარმიდამო ნაკვეთებზე მოსალოდნელია ბაღჩეების, ფრინველის და ადამიანის მოწამვლა ქიმიკატებით (ხილის, ბოსტნეულის საკვებად მიღებისას).

ამერიკული თეთრი პეპელას შემჩნევისთანავე გთხოვთ ჩაატაროთ ბრძოლის მექანიკური ღონისძიებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნებას განადგურება მოელის.

კლ. თოდუა,

მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი.

სარედაქციო კოლეგია

ამაგდარი

ზუგდიდის საზოგადოებრიობამ კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი დაკარგა. გარდაიცვალა მხცოვანი პედაგოგი და შესანიშნავი ინტელიგენტი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი ევგენი კონსტანტინეს ძე როგავა.

65 წლის მანძილზე ემსახურებოდა იგი ახალგაზრდობის აღზრდა—დაკვალიანების კეთილშობილურ საქმეს, იყო უებრო ნიმუში სამშობლოს უანგარო მსახურებისა, როგორც მისი თაობის, ისე უფრო ახალგაზრდა ზუგდიდელებს ახსოვთ ეს ამაგდარი ადამიანი საშუალო სკოლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად. ბოლო წლებში მუშაობდა ზედაეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ.

ევგენი როგავას— თავმდაბლობის, წესიერების, და ზნეობის განმახახიერებელ პიროვნებას მოისაკლისებს არა მარტო მისი ახლობელი და კოლეგა, არამედ მთელი ზუგდიდის საზოგადოებრიობა.

ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს.

მეგობრები ჯგუფი.

წიგნის თაროს შეემატა

„ბიბლიური ზნეთსწავლულება"

ახლახან გამომცემლობა „ალაშარამ" გამოსცა ჩვენი თანამეშამულე მეცნიერის ტიტე მოსიას მორიგი წიგნი „ბიბლიური ზნეთსწავლულება".

წიგნში ბიბლიური თვალუწვდენელი სამყაროს იმ მომენტებზეა შეჩერებული მკითხველის ყურადღება, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბიბლიური ზნეთსწავლულების გასაცნობიერებლად. მსჯელობის საგნადაა ქცეული ზნეობრივი აფორიზმები, სენტენციები, რჩევა-დარიგებანი და სხვა.

ნაშრომი შემოსაზღვრულია იმ აფორისტული გამოთქმების ფიქსაციით და მათი ანალიზით, რომლებშიც გამოკვეთილია ბიბლიური ზნეთსწავლულების მნიშვნელოვანი ასპექტები. წიგნი უცილოდ კეთილ ზეგავლენას მოახდენს მკითხველ საზოგადოებაზე. ამასთანავე ზოგად ასპექტში ნაჩვენები, თუ რა გავლენას ახდენდა ბიბლიური ზნეთსწავლულება ქართულ სიტყვიერ კულტურაზე (ძირითადად შემოფარგლულია ძველი ქართული მწერლობით).

„ბიბლიური ზნეთსწავლულება" მეტად საინტერესოა და მაღალი პროფესიონალური ნიჭითაა დაწერილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სახელწოდების მატარებელ წიგნს დღემდე არ იცნობდა ქართველი მკითხველი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აკაკი გელოვანის ღვაწლს ამ საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტიტე მოსიას „ბიბლიური ზნეთსწავლულება" მხოლოდ სამი ათასი ტირაჟითაა გამოცემული და ამ საქმით დაინტერესებულ მკითხველს (სხვათა შორის ძალიან ბევრს) არ მიეცა საშუალება შეეძინა ეს წიგნი.

მერაბ ჯიქია.

მეუღლე ნაზი, შვილები მარინა, თამარი, ლალი, გელა, ძმები გულიკო, ვახტანგი დადიანები, სიდედრი მარუსია, რძლები ბაბუცა, ბედიშა, ნუნუ, სიძეები თორნიკე ბულია, ტარიელ აქუბარდია, ჯამბულ სამხარაძე, ძმისშვილები: ციური, ოდერი, ნუგზარი ალანიები, ქეთინო, დოდო, ნარგიზა, მაია, თემური, ჯონი, მერაბი, ზური დადიანები, ცოლისდები გოგოლა, ნარგიზა, ცოლისძმა ზურაბი ლომაიები, შვილიშვილები: ეკა, გოგა, ქეთინო, ნინო, მარიკა, შორენა, შერმადინი და ახლო ნათესავები იუწყებიან

მოკოდია მელიტონის ძე არუსიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 აგვისტოს. დაკრძალვა 29 აგვისტოს. ქ. ზუგდიდი, ლერმონტოვის ქ. 47.

მეუღლე ლუბა ჩილაჩავა, შვილები: ნელი, სოსო, ზაური, რძალი ჟენია, სიძეები ვახტანგ კაციტაძე, ნოდარ ჭიპაშვილი, შვილიშვილები: მარინა, ნინო, ეკა, თამარი, ძმისშვილები: ლუდუკი, ლული, ნანული, დისშვილები ღუღუნი, კაკო, ტოტოშა, სერგო, თინა, შურა დარასელიები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენი კონსტანტინეს ძე როგავა. პანაშვიდი 25, 26 აგვისტოს. დაკრძალვა 27 აგვისტოს 5 საათზე. გამოსვენება დავით აღმაშენებლის ქუჩა 97.

ეს საინტერესოა

ვანგა გვიჩევს

საქვეყნოდ სახელგანთქმული გულთმისანი და წინასწარმეტყველი ვანგა იმითაც არის ცნობილი, რომ იგი მკურნალობასაც ეწევა. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობაში ყვავილებმა თვითონ უამბეს რომელი რა ავადმყოფობას უხდება.

მშობლებს ურჩევს ბავშვებს არ დაუშალონ მინდორში, მიწაზე ფეხშიშველი სიარული. ნერვიული ბავშვების დედ-მამას ურჩევს დილით ნამიან ბალახებზე გაშალონ ზეწარი. კარგად გაუდინონ და მერე მთელ ტანზე შემოახვიონ მას. ღვიძლის ცეროზით დაავადებულებმა უნდა მიიღონ დედის რძეში მოზელილი თეთრი ფქვილი. დიაბეტით დაავადებულებმა უნდა სვან მაყვლის ფოთლის ან მომწიფებული მწვანე ლობიოს პარკის ნახარში. თირკმლებით დაავადებულთათვის კარგია გოგრის თესლისაგან დაყენებული ჩაი, ან ტკივილის შემთხვევაში დანაყილი სელის თესლის ნაყენის ცხელი კომპრესი. ნიახური კარგი საშუალებაა რევმატიზმის წინააღმდეგ.

ინდექსი 66607 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 1200 შეკ. №344